პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 132 (5233) | შაბათი, 11 ივნისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ხვალ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

ყველა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან!

ხმა მიეცით კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს!

საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობა

გაიხსნება **15** ივნისს, საღამოს **7** საათზე რუსთაველის სახ. თეატრის შენობაში

ყრილობის დღის წესრიგი

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ლ. ბერია

*

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწყება 13 და 14 ივნისს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 15 ივნისს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე — საორგანიზაციო კომისიის ბინაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 5, ც. კ-ის შენობის პირდაპირ). საორგ. კომისიის ტელეფონები: 3—66—20, 3—72—42

ყველანი არჩევნებზე!

ხვალ დილით, საქართველოს მოქალაქენი არაჩვეულებრივი სიხარულით გავემართებიან საარჩევნო ყუთებისაკენ, რათა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში აირჩიონ ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანები.

12 ივნისს სტალინური კონსტიტუციის, მსოფლიოში ამ ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის, საფუძველზე მოვახდენთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს და განვახორციელებთ უფლებებს, რაც საბჭოთა მოქალაქეს ამ კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. საქართველოს ხალხის მეხსიერებაში წარუშლელად დარჩება 12 ივნისი — ახალი სიხარულისა და ენტუზიაზმის გამოწვევი ეს საზეიმო დღე. 12 ივნისს საქართველოს მოქალაქენი მოახდენენ პარტიისა და ხელისუფლებისადმი ერთგულების მძლავრ დემონსტრაციას.

რა საამორად, რა ბედნიერად ცხოვრობენ ახლა საბჭოთა საქართველოს მშრომელები. უაღრესად კმაყოფილნი და უსაზღვროდ მადლიერნი არიან ისინი კომუნისტური პარტიისა, რომელმაც ეს საამური ცხოვრება შეჰქმნა, მადლიერნი არიან ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა, რომლის ხელმძღვანელობითაც აყვავდა ჩვენი ქვეყანა. ათასობით კრებებსა და მიტინგებზე გამოდიან მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია, მოსამსახურეები და მადლობისა და უსაზღვრო ერთგულების სიტყვებით მიმართავენ პარტიის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

ხვალ არჩევნების დღეა! საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში ყველა ამომრჩეველისადმი მოაგონებს ყველა ამომრჩეველს, რომ „ბოლშევიკების პარტია არჩევნებზე გამოდის **ბლოკში, კავშირში,** უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან“, რომ „ბოლშევიკების პარტია კი არ ემიჯნება უპარტიოებს, არამედ, პირიქით, მიდის არჩევნებზე ბლოკში, კავშირში უპარტიოებთან, მიდის ბლოკში მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და უპარტიოთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან“. რა შეიძლება იყოს ხალხის ინტერესებისათვის იმაზე უკეთესი, ვიდრე კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური მეგობრობა, მათი ბლოკი კომუნიზმის შემდგომი გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში!

საქართველოს კომუნისტები მეგობრულად, მჭიდრო კავშირში მიდიან უპარტიო ამომრჩეველთა ორმილიონიან არმიასთან. კომუნისტებმა და უპარტიოებმა არჩევნებში უნდა განახორციელონ ურღვევი კავშირი, სტალინური ბლოკი. ეს უდიდესი ამოცანაა. ჩვენი პარტია ამ ამოცანას ბრწყინვალედ შეასრულებს. შეასრულებს იმიტომ, რომ უპარტიოები მხარს უჭერენ კომუნისტებს და სიამაყით მონაწილეობენ საარჩევნო ბლოკში ბოლშევიკებთან, ეს მათ ცხადჰყვეს წინასაარჩევნო კრებაზეც; შეასრულებს იმიტომ, რომ ეს ის პარტიაა რომლის ხელმძღვანელობითაც ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა, რომლის ხელმძღვანელობითაც „ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე გახორციელდა სოციალიზმი, შეჰქონა სოციალისტური წყობილება“. (სტალინი). მან შეჰქმნა ეს უძლეველი ძალა, მთელ მსოფლიოში უზარმაზარ სალკლდესავით რომ აღმართულა, ქვეყანა ბედნიერების, ქვეყანა საამური ცხოვრების, რომელმაც არ იცის რა არის შიმშილი და უმუშევრობა.

კომუნისტურმა პარტიამ მოუპოვა ხალხს შრომის, დასვენების, განათლების უფლება. ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც მანამდე პოვილეგიური კლასების კუთვნილებას შეადგენდა, კომუნისტურმა პარტიამ გახადა ყველასათვის ხელმისაწვდომი, მან გაანთავისუფლა ქალი, საუკუნეების განმავლობაში დამცირებული, უუფლებო, ექსპლოატატორთა კლასების ბინძური ფეხქვეშ გათელილი.

საქართველო, რომელიც მეფისა და მენშევიკების ბატონობის დროს სისხლისმღვრელი ომების ქარცეცხლში იყო გახვეული, ახლა, სტალინური პოლიტიკის შედეგად, დაცულია და მტრებისათვის ხელმიუწვდომელ მზიან ქვეყანას წარმოადგენს. ამიტომ საქართველოს მშრომელები ყოველთვის მხარს უჭერდნენ და უმაღლესი საბჭოს არჩევნებშიც მხარს დაუჭერენ ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკას, წავალენ არჩევნებზე მათთან ბლოკში, ურღვევ კავშირში.

ქართველი ხალხი აღფრთოვანებულია ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლის ამხანაგი მოლოტოვის თანხმობით კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

— ჩვენ ხმას მივცემთ ბოლშევიკების პარტიას, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, საამურ ცხოვრებას, ხმას მივცემთ ხალხის ღირსეულ შვილებს — ერთსულოვნად აცხადებდნენ ამომრჩევლები წინასაარჩევნო კრებებზე. ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის სიტყვებია, ბედნიერი ამომრჩევლები ხმას აძლევენ კომუნისტურ პარტიას, ხმას აძლევენ დიდ სტალინს.

პარტია და ხელისუფლება მიდიან არჩევნებზე ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების პროგრამით: რომ ისინი უზრუნველჰყოფენ სტახანოვური რეკორდების გამოვლენას, გაზრდიან სოფლის მეურნეობის წარმატებებს, ახალ საფეხურზე აიყვანენ კულტურულ მშენებლობას და უფრო ფართო გზას მისცემენ ხალხის ტალანტებს. ხალხმა იცის, რომ ბოლშევიკების სიტყვა იგივე საქმეა, რომ მათი სიტყვა საქმეს არასოდეს სცილდება. ამიტომ შეხვდნენ ერთსულოვნად მუშები, გლეხები, წითელარმიელები, მოსამსახურეები, და საბჭოთა ინტელიგენცია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი, რომელშიც პარტია მოუწოდებს მათ ხმა მისცენ კომუნისტების მიერ უპარტიოებთან ერთად დასახელებულ კანდიდატებს, ამიტომ გაისმის მშრომელთა ასე გულწრფელი, მგზნებარე სიტყვები წინასაარჩევნო კრებებზე, და ისინი მხარს უჭერენ სტალინური ბლოკის კანდიდატებს, მხარს უჭერენ საამურ ცხოვრებას.

უპარტიო ამომრჩევლები ხმას მისცემენ კომუნისტების კანდიდატებს იმიტომ, რომ „საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც აღზრდილნი არიან სოციალიზმის ყველა მტრისადმი შეურიგებლობის ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე, უზრუნველჰყვეს განადგურება და მოსპობა მენშევიკების, ნაციონალ - დემოკრატების, ფედერალისტებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებისა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა — პირისიხლიანი ფაშიზმის აგენტთა, — ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდისა, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ წაერთმიათ ქართველი ხალხისათვის სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი, ხელახლა დაედგათ მისთვის ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის უღელი, გადაექციათ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიათ“ (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

ხვალ საქ. სსრ, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების დღეა! ქართველი ხალხის ისტორია ჩაიწერს ამ შესანიშნავ დღეს, საყოველთაო-სახალხო დღეს. სასწაულის დღეს. ყველამ მივიღოთ მონაწილეობა ამ უდიდეს ისტორიულ საქმეში. 12 ივნისს ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოვცხადდეთ საარჩევნო უბანში დეპუტატების ასარჩევად უმაღლეს საბჭოში.

ყველა არჩევნებზე, ყველა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან, ხმა ჩვენი საარჩევნო ყუთებთან, ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს!

საყოველთაო სახალხო ზეიმის წინ

200.000 ამომრჩეველი ბელადის სახელობის სანაპიროზე

დიდი სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩა — მშენება და სიამაყე ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქისა, არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა გუშინ, 10 ივნისს, საღამოს. მორთული და მოკაზმული იყო მთელი ქუჩა გმირების სახელობის მოედნიდან, ვიდრე კალაიევის ხიდამდე. ყოველი ბოძი, ყოველი ბუჩქი და მცენარე ამ საღამოს სხვანაირად გამოიყურებოდა. უფრო კოპწიად, უფრო ლამაზად. ელექტრო-ჭაღებთან წითელი დროშები ფრიალებდნენ. ქუჩის განდაგან ვეებერთელა არშიებზე იყო წარწერა:

— გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში!

— ჩვენი პირველი კანდიდატია დიდი სტალინი!

ყვავილნარებთან პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელთა სურათები იყო, ფერადი ყვავილების გირლიანდებით შემკობილი. ყვავილებს შორის გაბმული იყო ფერად ელექტრო - სანათურების წყება თვალმარგალიტის მძივების მსგავსად. მტკვარს მოჰქონდა გრილი ნიავი, ყვავილება საამო სურნელებას აფრქვევდნენ.

ერთი უბანი სანაპიროსი, გმირების მოედნიდან ფიზკულტურელთა პარკის ალაყაფამდე, მიჩენილი იყო ორჯონიკიძის რაიონის ამომრჩეველთათვის. აქვე აღმართად ტრიბუნა - ესტრადა, საგანგებოდ მორთული და პროექტორებით გასხივოსნებული. შემდეგი უბანი სანაპიროსი განკუთვნილი იყო სტალინის რაიონში მცხოვრებ ამომრჩეველთათვის. აქაც ისეთი ტრიბუნა იყო.

კიდევ სამ ადგილას იყო ალმართული მსგავსივე ტრიბუნა-ესტრადები. იქ, სადაც ერთ დროს საკარუსელო მოედანი ყოფილა, ახლა ბაღია და ხეივანი. ამ ხეივანთან თავს იყრიდნენ კიროვის რაიონის ამომრჩევლები. აქვე იყო მათი ტრიბუნა. ქვემოთ, მადათოვის ყოფილ კუნძულზე, სანაპირო ქუჩის უბანი განსაზღვრული იყო ლენინის რაიონში მცხოვრებ ამომრჩეველთათვის, კიდევ ქვემოთ, კალაიევის ხიდისაკენ, 26 კომუნარის სახელობის ამომრჩევლებს უნდა მოეყარათ თავი.

ზაფხულის ბარაქიანი დღე მიიწურა, როცა სანაპიროსკენ დაიძრნენ ამომრჩეველთა კოლონები. მოდიოდნენ დიდ და პატარა ჯგუფებად. მოდიოდნენ საარჩევნო უბნებში თავმოყრილი ამომრჩევლები ორკესტრებით, სიმღერითა და ყვავილებით.

ტრიბუნებზე ავიდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები. 5 მეტრიანი ერთსადაიმავე დროს. თვითეულ მეტრზე საკუთარი, ადგილობრივი სატრანსლაციო ქსელი ჰქონდა, თორემ ისე ვერ მოისმენდა ორატორებს ურიცხვი ხალხი. გამოვიდოდა ერთი ორატორი, იტყოდა სიტყვას და იფეთქებდა ტაში. მსმენელები რომ არ დაღლილიყვნენ, ორატორის შემდეგ ტრიბუნიდან ხალხი ისმენდა მუსიკას და საესტრადო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

ლენინის რაიონის ტრიბუნასთან უთვალავი ამომრჩეველი შეგროვილიყვნენ. ტრიბუნის ხედს ალამაზებდა შესანიშნავი მხატვრული გაფორმება. ერთ მხარეს დიდი ბელადის სტალინის სურათი, მეორე მხარეს — საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას პორტრეტი. მათ შორის მაღლით გადაჭიმულ წითელ ტილოზე იყო წარწერა: — სიამაყის გრძნობით მივცემთ ჩვენს ხმებს ამხანაგ სტალინს.

ლენინის რაიონის ამომრჩევლებს სიტყვებით მიმართეს ამხ. მ. ჩუბინიძემ, ე. ხომერიკმა, გ. გაბუნიამ, მარიამ ჩომახიძემ, ე. წამალაიძემ, პ. ვოიჩეკმა, ნ. ვოლსკაიამ, ელ. ცილიკინმა.

— მივცეთ ჩვენი ხმები ლენინ-სტალინის პარტიისათვის თავდადებულებს, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, სამშობლოს ერთგულ შვილებს. ასეთი იყო ყველა ორატორის მიერ წარმოთქმული სიტყვების დედააზრი და მოწოდება. შემდეგ ილაპარაკეს დეპუტატობის კანდიდატებმა — ნიკოლოზ გელაძემ, მარიამ ბურჯულაძემ, ივ. დევნურაშვილმა.

საესტრადო გამოსვლებს ხელმძღვანელობდა ორდენოსანი მ. ჭიაურელი. გამოვიდნენ და ხალხს საკუთარი მიღწევებით წარუდგნენ: ხალხურ ინსტრუმენტთა ანსამბლი ვამაკიძის ხელმძღვანელობით, ნორჩი პიანისტი გ. ამირეჯიბი, სკრიპკის დამკვრელი იური ხონელიძე, იუმორისტი მანაველ აფხაიძე, მომღერლები — პ. ამირანაშვილი და ნ. პაჭკორიას გუნდი, ფიზკულტურული-აკრობატიკოსები და სხვ.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა — ს. ეულმა, გ. ლეონიძემ და ს. ჩიქოვანმა.

ესტრადაზე რომ მსახიობები და სცენის ოსტატები გამოდიოდნენ, მათ რომ ორატორები სცვლიდნენ და ცეცხლოვანი სიტყვებით საყოველთაო აღტაცებას იწვევდნენ, ამ დროს სანაპირო ქუჩის მრავალი ათეული ადგილიდან მაშხალები სერავდნენ ღამის წყვდიადს და ფეერიული მოჩვენებასავით აჭრელებდნენ უსაზღვრო სივრცეს. პროექტორები და ძლიერი „იუპიტერები“ ბარაქიანად აფრქვევდნენ სინათლეს. საბავშვო მოედნებზე ბავშვები ერთობოდნენ და შუშხუნების სროლით გატაცებულნი პიროტექნიკოსების ანლოს იყრიდნენ თავს. იქ „ცეცხლის“ ბორბალი დატრიალებს, აქ კომბინირებული შუშხუნა დასწვეს და „12 ივნისი“ ცეცხლის ასოებით გამოისახა.

რადიო-რუპორიდან საბავშვო მოედანზე ისმის სიმღერა, ეკრანიდან გადმოცემული...

მღერიან ესტრადაზე, მღერიან ბავშვები და ტაშს უკრავს 200.000 ამომრჩეველი.

ყველა ტაშს უკრავს, ყველა მიესალმება დიადი სიხარულის შემომქმედს:

— სტალინ, მასწავლებელო, მამავ და ბელადო!

ასეთივე ამბები იყო დანარჩენ ტრიბუნებთანაც. შუაღამე მოახლოვებული იყო, როცა ხალხი დაიშალა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XVII პარტიული კონფერენციის რეზოლუციიდან

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიშის გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. ბერიას საანგარიშო მოხსენება თბილისის XVI პარტიული კონფერენციის შემდგომი პერიოდის განმავლობაში პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, თბილისის XVII პარტიული კონფერენცია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სცნობს სწორად და პრაქტიკულ მუშაობას დამაკმაყოფილებლად.

განვლილი პერიოდის მანძილზე ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები.

მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე განსაკუთრებული აღტყინებით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რაც აღინიშნა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებით და რამაც ცხადჰყო საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, პარტიისა და ხალხის ბელადის დიდი სტალინისადმი.

ანხორციელებდა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის (1937 წ.) პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებებს, რომლებიც მოცემულია მის მოხსენებაში ამ პლენუმზე „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებისა და ტროცკის ტ და სხვათა ორგულთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“, ჩვენმა პარტიამ გამოამჟღავნა და გაანადგურა პარტიისა და ხალხის დაუძინებელი მტრების, პარტიულ-ხლიანი ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა აგენტების, ჯაშუშების, დივერსანტებისა და მავნებლების ბუდეები.

თბილისის XVII პარტიული კონფერენცია აღნიშნავს, რომ თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში გამომჟღავნებული და განადგურებული არიან პარტიისა და ხალხის მტრები, რომლებიც მოტყუების გზით გაძვრენ პარტიაში და მეთვრიგ მეთხუთვეტაში მოიკალათეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში.

ხალხის მტრების განადგურებასთან ერთად, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა დაარაზმა მთელი პარტიული ორგანიზაცია და მშრომელთა ფართო მასები მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციის ამოცანის შესასრულებლად როგორც სახალხო მეურნეობაში. ისე პარტიულსა და საბჭოთა მუშაობაში.

სწორედდა რა პარტიულ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს მტრული ელემენტებისაგან, თბილისის ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში დააწინაურა ხელმძღვანელ სამუშაოზე ორი ათასზე მეტი კაცი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიის თბილისის კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

პარტიის რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო სერიოზულად და გულმოდგინედ იწყეს მიდგომა პარტიიდან გარიცხვის საკითხებისადმი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი გაატარა პარტიული ორგანიზაციების ზრდის საქმეში მუშებიდან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებიდან და ინტელიგენციიდან გამოსულ მოწინავე, ლენინ-სტალინის საქმისადმი თავდადებულ ადამიანთა ხარჯზე. კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა კომკავშირელთა მიღება პარტიაში.

განუხრელად ანხორციელებდა რა ამხანაგ სტალინის ისტორიულ ლოზუნგს ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ, თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა მუშაობა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის: პარტიული განათლების ქსელით მოცული პარტორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 95 პროცენტი; დაწინაურებულია პროპაგანდისტთა და ხელმძღვანელთა ახალი კადრები, გაძლიერდა კომუნისტთა ინტერესი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისადმი.

მიღწეულია წარმატებანი მშრომელთა შორის პოლიტიკური აგიტაციის დარგში. განმტკიცებულია აგიტატორთა კადრები. ჩაბმული არიან სააგიტაციო მუშაობაში კომკავშირელები, საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობნი და უპარტიო აქტივისტები. გაუმჯობესებულია სააგიტაციო-ახსნა-განმარტებითი მუშაობის შინაარსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა არჩევნები თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში მიმდინარე წელს უფრო ორგანიზებულად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობის პირობებში ჩატარდა.

საანგარიშო საარჩევნო კამპანიისა და საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მეთე მეთრე მუშაობის შედეგად, თბილისის პარტიული ორგანიზაცია —საქართველოს ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის მოწინავე რაზმი — თავის XVII კონფერენციაზე მოვიდა კიდევ უფრო განმტკიცებული, მონოლიტური, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის გარშემო.

კონფერენცია თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში აღნიშნავს შემდეგ ნაკლოვანებებს:

ა) პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ არასაკმაოდ სწავლობს მუშაკებს და სუსტად ეხმარება ახლად დაწინაურებულ კადრებს მათს პრაქტიკულ მუშაობაში;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ გამოსწორებულ იქნა ის სერიოზული შეცდომები, რომლებიც თბილისის პარტორგანიზაციის პირველადმა პარტორგანიზაციებმა და რაიკომებმა დაუშვეს პარტიიდან კომუნისტთა გარიცხვისა და საპასუხისმგებლო განცხადებათა განხილვის საქმეში, ცოტა როდია შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაციები არ უქმნიან საკმარის პირობებს პარტიაში აღდგენილთ და არ აბამენ მათ აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში;

გ) ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატთა მისაღებად პარტიაში;

დ) პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომები საკმაო მუშაობას არ ეწევიან პარტიაში ქალთა მიზიდვისათვის;

ე) ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული მუშაობა უპარტიოთა შორის მათი მიზიდვისათვის თანამგრძნობათა ჯგუფებში და აგრეთვე თანამგრძნობთა პოლიტიკური აღზრდისათვის;

ვ) ბევრი პარტიული წრის მუშაობის ხარისხი არა დგას სათანადო სიმაღლეზე. პროპაგანდისტული სემინარების მუშაობის დონე ვერ უპასუხებს პროპაგანდისტთა გაზრდილ მოთხოვნებს.

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის კაბინეტთა მუშაობა პროპაგანდისტებისა და პარტიული აქტივისათვის დახმარების გაწევის საქმეში;

ზ) ქალ. თბილისის სამრეწველო საწარმოთა მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელი რიგი საწარმონი, განსაკუთრებით სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმონი, ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში. პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მაღალი. კიროვის სახელობის ქარხნის, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის, ძაფსართავი ფაბრიკის, ცენტროლიტისა და სხვ. სამეურნეო ხელმძღვანელნი და პარტიული ორგანიზაციები სუსტად შეუალო სასწავლებელთა მოსწავლეების კომუნისტური აღზრდის უკეთესად დაყენების საქმეში და კავშირგარეშე ახალგაზრდობის მოზიდვის ნაწილის ხარჯზე კომკავშირული ორგანიზაციების ზრდის საქმეში.

7. კონფერენცია პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს **ამოცანად** სთვლის მავნებლობის **შედეგების** აღმოფხვრას, მასების მობილიზაციას სამრეწველო საწარმოთა საწარმოო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას და სტახანოვური მოძრაობის შემდგომ გაშლას.

პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელნი ვალდებული არიან ყოველდღიური კონკრეტული დახმარება გაუწიონ ახლად დაწინაურებულ კადრებს.

8. კონფერენცია ავალებს თბილისის კომიტეტს და პარტიის რაიკომებს გაუმჯობესონ თბილისის საბჭოსა და რაიონული საბჭოების მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას კომუნალური მშენებლობის დარგში.

9. თბილისის პარტიული კონფერენცია ავალებს თბილისის კომიტეტს და პარტიის რაიკომებს გააუმჯობესონ სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა, სისტემატური დახმარება გაუწიონ სამხედრო ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლაში და აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს მათი კადრებით განმტკიცების, მშრომელთა ახალი ფენების მიზიდვისა და პიოლოტთა, მსროლელთა, პარაშუტისტთა და სხვ. კადრების მომზადების უკეთ მოწყობის საქმეში.

უნდა იხელმძღვანელონ რა **საკ. კ. პ. (ბ)** სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითებებით იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების მომავალი არჩევნები ჩატარებულ იქნას კიდევ უფრო უკეთესად, კიდევ უფრო ორგანიზებულად, ვიდრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალონ საორგანიზაციო და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩავატაროთ მაღალ დონეზე და ამით გავამართლოთ უდიდესი პატივი და ნდობა, რომელიც გამოგვიცხადა დიდმა სტალინმა თავის თანხმობით კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

o

ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერებით, პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებათა განუხრელი განხორციელებით, თბილისის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც აღზრდილნი არიან სოციალიზმის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის სტალინურ ტრადიციებზე, ბოლომდე გაანადგურებენ პარტიისა და ხალხის მტრებს, მავნებლებს, დივერსანტებს, ჯაშუშებს და მათ ხელმძღვანელობით და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გასწევენ კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ბედნიერი, საამური ცხოვრების შემომქმედს, მთელი მშრომელი და პროგრესიული კაცობრიობის იმედსა და სიამაყეს — დიდ სტალინს!

მოსკოვის VI საოლქო პარტიული კონფერენცია

9 ივნისის დილის სხდომაზე ამხ. ა. ი. უგაროვმა დაამთავრა საანგარიშო მოხსენება პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. მოხსენებით სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ბელოვი, შემდეგ დაიწყო კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავენ მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის დიდ მიღწევებს სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, საკ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელების გზით მოსკოვის ოლქის ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ფაშისტური ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის ჯაშუშური ბუდეების გამოსააშკარავებლად და აღმოსაფხვრელად და ლენინ-სტალინის საქმისადმი ბოლომდე ერთგული ახალგაზრდა ახალი კადრების დასაწინაურებლად.

დელეგატები ბოლშევიკური პირდაპირობით ლაპარაკობენ პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის, რაიკომებისა და პარტკომების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. (საკდესი).

ლენინგრადის VII საოლქო პარტიული კონფერენცია

ლენინგრადი, 9 ივნისი (საკდესი). დღეს ლენინგრადის VII საოლქო პარტიული კონფერენციის დილის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ლენინგრადის კომიტეტების მდივანი ამხ. **ა. ა. ჟდანოვი**, რომელსაც მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ.

ამხ. ა. ა. ჟდანოვის დიდი, შინაარსიანი, ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან და მუშაობიდან აღებული მრავალი ფაქტით აღსავსე მოხსენება კონფერენციამ დაძაბული ყურადღებით მოისმინა. მოხსენების დამთავრებისას დელეგატები ამხ. ჟდანოვს მჭუხარე ოვაციას უმართავენ.

o

კონფერენციის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ხასმანის მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ დაიწყო კამათი საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ახალი მიღწევებით ხვდებიან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს

ოქუმელ კოლმეურნეთა მორიგი გამარჯვება

(ბალი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ას თხუთმეტი სტახანოველი და ას ორმოცდაათზე მეტი დამკვრელი ჰყავს ახლა სოფელ ოქუმის (ბალის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. შრომის სტახანოვური მეთოდების მასობრივად დანერგვით კოლმეურნეობა უკვე მილიონერი გახდა. მისი შემოსავალი შარშან 1.092.000 მანეთს სჭარბობდა.

ოქუმის კოლმეურნეობას ჰყავს ისეთი სტახანოველები, რომლებსაც იცნობს მთელი რესპუბლიკა. ესენი ყოველდღიურად იზრდებიან და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. კოლმეურნე სტახანოველმა დუშა ქვაჩახიამ 16 მაისს 37,2 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჭკრიფა და დღიური ნორმა 234,3 პროცენტით შეასრულა. 18 მაისს, ნაცვლად 16 კილოგრამისა, მოჭკრიფა 105.7 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო 27 მაისს —227,4 კილოგრამი, გეგმა შეასრულა 1.337 პროცენტით. დუშა ქვაჩახიამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭილოვის ეროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი უშა ახუბა. დუშა ქვაჩახია ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ დაეწიოს თავის „მეტოქეს“.

ოქუმის კოლმეურნეობაში გულდასმით სწავლობენ და მოხერხებულად იყენებენ მოწინავე სტახანოველთა გამოცდილებას. ვიქტორ ლაცუცბაიამ, რომელიც წინათ ნორმასაც ძლივს ასრულებდა, წელს ჩაის ბუჩქის გაფორმების დღიური ნორმა 2.480 პროცენტით შეასრულა. 18 მაისს მან 16 კილოგრამის ნაცვლად 104,2 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჭკრიფა, 19 მაისს კი—156,7 კილოგრამი. ვ. ლაცუცბაიამ 1 ივნისამდე გამოიმუშავა 224 შრომადღე.

დიდი სიხარული, ენტუზიაზმი შეაქვს კოლმეურნეებში სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც აქ ფართოდ არის გამოყენებული. კოლმეურნე ხარიტონ შადანია ვ. ლაცუცბაიას ეჯიბრება. ის წინათ ჩამორჩებოდა თავის „მოწინააღმდეგეს“, ახლა კი უკვე ვაუსწრო მას. ხ. შადანიამ აპრილში მარტო ერთ დღეს 7.139 ჩაის ბუჩქი გააფორმა და ნორმა 2.775 პროცენტით შეასრულა. ამ რამდენიმე დღის წინათ მან ერთი დღის განმავლობაში 161 კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჭკრიფა და დღიურ ნორმას ათჯერ გადააჭარბა. ხ. შადანია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა.

ახლა ოქუმის კოლმეურნეობას 60 ისეთი სტახანოველი ჰყავს, რომელიც დღეში 50-80 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს. თერთმეტი სტახანოველი კი ახერხებს დღეში 100-150 კილოგრამისა და კიდევ მეტი ჩაის მოკრეფას. არიან კოლმეურნეები, რომლებმაც წელს პირველად დაიწყეს ჩაის კრეფა და საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან. მაგალითად, ლუბა ახვლედიანი, რომელმაც 17 მაისს 33,8 კილოგრამი, ხოლო 18 მაისს 101,2 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მაქსიმე ყვანიას, ბუჯი წირღვავას, რაჟდენ ბულისკერიას და სხვათა ბრიგადები მთლიანი სტახანოვური ბრიგადებია. მ. ყვანიას ბრიგადამ მაისში, ნაცვლად 4264 კილოგრამისა, მოჰკრიფა 6358 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ბ. წირღვავას ბრიგადამ ისე საუკეთესოდ დააყენა პლანტაციების მოვლა, რომ მაისში ჩაის კრეფის წლიური გეგმა 55,8 პროცენტით შესრულა. უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ბრიგადის წევრებმა იკისრეს მოჰკრიფონ წელს ორჯერ მეტი ფოთოლი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს. ამ ბრიგადის სტახანოველი ჩიქოლა ქვაჩახია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არის წამოყენებული.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. გიორგი ჯგუბურია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლას. ამჟამად ყველა საკოლმეურნეო ბრიგადა, ჯგუფი და ცალკე კოლმეურნე ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. სისტემატურად ხდება სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება; შემოღებულია გამარჯვებულთა დაჯილდოება, ბრიგადებში მოწყობილია ჩაის მუდმივი ჯგუფები.

აქ სისტემატურად იმართება საერთო საკოლმეურნეო და საბრიგადო თათბირები. ხდება ამ თათბირებზე შემოტანილ წინადადებათა განხილვა და მათი შესრულების შემოწმება.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მოწოდებამ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაზე ჩაის კრეფის სანიმუშოდ ჩატარებისათვის აქ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ოქუმელი კოლმეურნეები კიდევ უფრო აძლიერებენ სამუშაოთა ტემპებს და საქმით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ტ. აცანელი.
ტრ. თოდრაძე.

ქისტაურელ კოლმეურნეთა გამოცდილება და ახალი ვალდებულებანი

შარშან თელავის რაიონის სოფ. ქისტაურის კოლმეურნეობის მებაღეშუმე ქალებმა ნ. დურგლიშვილმა, ვ. კვიცაშვილმა, ს. ყლარტილაურმა, მ. აივაზაშვილმა და ა. კვიცაშვილმა ძველი მებაღეშუმის, სტახანოველი კოლმეურნე ქალის ოსანა აივაზაშვილის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს ჩაის გამოზრდისა და გამოკვების ახალი მეთოდი, რაც დიდი წარმატება მოიპოვეს. ამ მეთოდის განხორციელებით მებაღეშუმეებმა მიაღწიეს იმას, რომ ბაღეშუმის ჭიამ, ნაცვლად 34-35 დღისა, პარკის ახვევა დაიწყო მე-19 დღეზე და თითო კოლოფ თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარეს 80-90 კილოგრამი პარკი.

ასეთი მეთოდით ბაღეშუმის ჭიის გამოზრდა დაეთმო კოლოფი თესლიდან ამ რაოდენობის პარკის მიღება იშვიათი შემთხვევა იყო მებაღეშუმეობის განვითარების ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ხალხის საზიზღარმა მტრებმა, რომლებიც მაშინ რაიონის ხელმძღვანელობაში იყვნენ მოკალათებულნი, სტახანოველთა ეს შესანიშნავი მიღწევა არაფრად ჩასთვალეს და სასაცილოდაც აგდეს.

მაგრამ სტახანოველებს გული არ გასტეხიათ და კიდევ უფრო მეტი ენერგიით და შეუპოვრობით შეუდგნენ მუშაობას.

ჭიის გამოკვების ახალი წესი ფართოდ ინერგება თელავის რაიონის მებაღეშუმეებში. ახლა ამ სოფელში ბევრია სტახანოველი მებაღეშუმე ქალი. კოლმეურნე ვარდო კვიცაშვილმა წელს ახალი მეთოდით ჭიის გამოკვების დარგში თვალსაჩინო შედეგები მიიღო: მისმა ჭიამ მე-18 დღეზე დაიწყო პარკის ახვევა. მე-18, მე-20 დღეს დაიწყო ჭიამ პარკის ახვევა აგრეთვე სტახანოველ მებაღეშუმეებთან ო. არვაზაშვილთან, ა. კვიცაშვილთან, ნ. დურგლიშვილთან, მართა აივაზაშვილთან, სახედა ყლარტილაურთან და სხვ.

ახალი უხვი მოსავლის ნაწილი უკვე ჩაბარდა სახელმწიფოს.

ქისტაურელმა მებაღეშუმეებმა ამ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური შეჯიბრების და სტახანოვური მუშაობის ფართოდ გაშლით, მებაღეშუმეობის ტექნიკის დაუფლებით.

მებაღეშუმეობაში მათ მასობრივად გამოიყენეს ფლანკერის სისტემის ღუმელი და შედეგები საუკეთესო მიიღეს. ამ ღუმელის საშუალებით საჭიე ბინებში დამყარებული იქნა მუდმივად 24 გრადუსი სითბო, ნაცვლად საერთოდ დადგენილი ნორმის 22 გრადუსისა. ამით მათ პირველად გადალახეს ტექნიკური ნორმა და სამაგალითო შედეგი მიიღეს: ჭიამ სწრაფად იწყო ზრდა-განვითარება.

პირველ სამ ასაკში ჭიას სისტემატურად ჰქვებავდნენ საღი და წვრილად დაჭრილი ფოთლით და დღე-ღამის კვება, ნაცვლად 8-ჯერისა, აიყვანეს დღისით 18-20 ჯერამდე, ხოლო ღამით 12-14 ჯერამდე. ასეთი მეთოდით გამოკვებილი ჭია სწრაფად იზრდება და მე-18 დღეზე იწყებს, ხოლო 22-23 დღეზე საბოლოოდ ამთავრებს პარკის კეთებას.

ქისტაურელმა სტახანოველმა მებაღეშუმეებმა იკისრეს ამხარი მეთოდით მიაღწიონ წელიწადში აბრეშუმის მოსავლის სამჯერ მიღებას და თავისი გამოცდილება ფართოდ დანერგონ რაიონის მებაღეშუმეთა შორის.

ბ. ჯ.

ხევსური-ამომრჩევლები ეცნობიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიას.
ფოტო—რ. აკოფოვისა

პარტიული ცხოვრება

ორჯონიკიძის რაიონის მე-9 პარტიული კონფერენცია

(საკ. კორესპონდენტისაგან)

2-3 ივნისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) **ორჯონიკიძის** (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის მე-9 პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით აირჩია პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა დიდი **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები: **ერნსტ ტელმანი, ლ. ბერია, გ. დიმიტროვი და ფ. მახარაძე.**

რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ლ. ჩხიკვიშვილი, მოსმენილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხს. მ. კოროშინაძე). ამის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. რ. ჭელებმა, ი. კოტორაძემ, რ. გიორგაძემ, ს. პაიჭაძემ, ვ. კუტალაძემ, მ. შელიამ, ს. ჯიბუტმა, გ. ცინცაძემ, შ. უნგიაძემ, ვ. ყაჭეიშვილმა და სხვ. — სულ 26 კაცმა.

მოკამათეთა უმრავლესობა მკაცრად აკრიტიკებდა რაიკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავდა ღონისძიებებს მომავალი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

რაიკომის მუშაობა კონფერენციამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად, ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა — არადამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის პლენუმში 31 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით.

საქართველოს კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნა 6 ამხანაგი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით — 1.

5 ივნისს შესდგა რაიკომის პლენუმის სხდომა, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ლ. ჩხიკვიშვილი,** მეორე მდივნად — **გრ. დარჩია,** მესამე მდივნად — **ნ. კილახონია.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. **ს. ფალავანდიშვილმა.**

გ. ჟორჟიძე.

ჩოხატაურის რაიონის მე-7 პარტკონფერენცია

3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ჩოხატაურის თეატრში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) **ჩოხატაურის** მე-7 რაიონული კონფერენცია.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ერთხმად აირჩია პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა დიდი **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები: **ერნსტ ტელმანი, ლ. ბერია, გ. დიმიტროვი და ფ. მახარაძე.**

რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ლ. ჩხიკვიშვილი, მოსმენილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხს. მ. კოროშინაძე). ამის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. რ. ჭელებმა, ი. კოტორაძემ, რ. გიორგაძემ, ს. პაიჭაძემ, ვ. კუტალაძემ, მ. შელიამ, ს. ჯიბუტმა, გ. ცინცაძემ, შ. უნგიაძემ, ვ. ყაჭეიშვილმა და სხვ. — სულ 26 კაცმა.

მოკამათეთა უმრავლესობა მკაცრად აკრიტიკებდა რაიკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავდა ღონისძიებებს მომავალი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

რაიკომის მუშაობა კონფერენციამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად, ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა — არადამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის პლენუმში 25 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით. არჩეულია აგრეთვე სარევიზიო კომისია.

საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობაზე გასაგზავნად კონფერენციამ აირჩია 5 დელეგატი.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში აირჩია 5 წევრი და 2 კანდიდატი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **გრიგოლ ორჯონიკიძე,** მეორე მდივნად — ამხ. **არტემ ჩინჩალაძე,** ხოლო მესამე მდივნად — ამხ. **ბიქტორ დევდარიანი.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის წარმომადგენელმა ამხ. **ვ. ფრანგულაშვილმა.**

დავ. გაბრიაძე.

ჩხოროწყუს რაიონის ორგანიზაციის საარაიონო კრება

ამ დღეებში ჩატარდა ჩხოროწყუს კომუნისტების მეორე რაიონული კრება. რაიკომის მდივნის ამხ. კვარაცხელიას საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ ვაცხოველებულ კამათში მონაწილეობა მიიღო 27 ამხანაგმა. მოკამათეებმა გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკითა და თვითკრიტიკით გამოაშკარავეს რაიკომის მუშაობის ნაკლოვანებები და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები შემდგომი მუშაობისათვის.

კრებამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმი 19 წევრისა და 7 კანდიდატის შემადგენლობით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეთერთმეტე ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ ილია კვარაცხელია, ვარლამ თოდუა და გრიშა სტეფანია.

პირველ ივნისს შესდგა ახლად არჩეული პლენუმის პირველი სხდომა. პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით.

რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ილია კვარაცხელია, მეორე მდივნად ამხ. გრიშა სტეფანია, მესამე მდივნად ამხ. სპირიდონ ქვარცხავა.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. კოტე ჭიჭინაძემ.

დ. კვირკველია.

თიანეთის პარტორგანიზაციის საარაიონო კრება

5-სა და 6 ივნისს ჩატარდა თიანეთის რაიონის კომუნისტთა პარტიული კრება.

კრებამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია საქ. კ. პ. (ბ) პოლიტბიუროს შემადგენლობა ამხანაგ სტალინის მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები ლ. ბერია, ტელმანი და ხოზე დიასი. მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივნის ამხ. გ. მრელაშვილის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ბუჯიაშვილის მოხსენებანი.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 19 კომუნისტმა.

მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ რაიონის მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია; ხშირია პარტწრეების მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები; ზოგ ადგილებზე სულ მიივიწყეს მეცადინეობის ჩატარება. მაგალითად, სოფ. თოლენჯში უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში ერთი მეცადინეობაც არ ჩატარებულა. ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციებში სწორად არ ხდება პლენტწრეების დაკომპლექტება.

რაიონულმა კრებამ საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი — სწორად. მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი რაიკომის შემდგომი მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

კრებამ აირჩია რაიონული კომიტეტი 9 წევრის შემადგენლობით. არჩეულ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისია.

რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გ. მრელაშვილი, მესამე მდივნად—ამხ. ი. გეგეშური.

რაიონული კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენლებმა ამხ. ნ. ჩარკვიანმა და ა. ჯიჭინაძემ.

გ. ხინგავა.

საარჩევნო კამპანია ბოლშევიკურ ორგანიზებულობას მოითხოვს

ზეგ საქართველოს და სომხეთის ხალხები, ხოლო 24 და 26 ივნისს სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხი, განახორციელებენ სტალინური კონსტიტუციით ჩაწერილ თავიანთ დიად უფლებას — აირჩევენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს. მუშები, გლეხები, წითელი არმიისა და ფლოტის მებრძოლები, ინტელიგენცია, მოსამსახურეები, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი ამჟამად აღმაფრთოვანებელ, წინასაღლესასწაულო დღეებს განიცდიან. ქალაქებიდან და სოფლებიდან სულ უფროდაუფრო მეტი ცნობები მოდის მოახლოებული არჩევნების აღსანიშნავად მოპოვებულ საწარმოო გამარჯვებათა შესახებ. უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრა თავიანთ ამომრჩევლებთან დიდი გულთბილობით არის გამსჭვალული. ამომრჩევლებმა ყველგან გამოსთქვამენ თავიანთ სურვილს—ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური კავშირის კანდიდატებს—ხალხის რჩეულ ნაწილსა და სიამაყეს.

გახურებული მუშაობაა გაშლილი ათეულათასობით საარჩევნო უბნებში. მოსახლეობაში დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციის ეწევიან ნდობით აღჭურვილი პირნი და მათი თანაშემწეები — პარტიულ და უპარტიო აგიტატორთა მთელი არმია. ამომრჩევლები უბნებში ამოწმებენ სიების სისწორეს. მიტინგები და კრებები, მოხსენებები და საუბრები, მოსახლეობაში მთელი კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის გაცხოველება — აი რა ახასიათებს წინასაარჩევნო დღეებს.

და აი ახლა, როდესაც არჩევნებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი, თვითეული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია, თვითეული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია შეეკითხოს თავის-თავს: ყველაფერი მომზადებულია თუ არა არჩევნებისათვის? ყველაფერია თუ არა გაკეთებული იმისათვის რათა ბოლშევიკურად შესრულდეს პარტიის დირექტივა, რაიონულ საბჭოს ყველა ამომრჩეველი როდი მიეტანია სიებში.

ალმაშფოთებელი უმსგავსობა ხდება არხანგელსკის ოლქში. კონოშის რაიონის სადაო საბჭოს თავმჯდომარემ ბოგდანოვმა გადასწყვიტა შეადგინოს ამომრჩეველთა სიები იქ გამოგონებული ფორმის მიხედვით. ამ „ფორმაში“ 12 სვეტია: სოციალური მდგომარეობის, პარტიულობის, ნასამართლობის, განათლებისა და სხვ. და ა. შ.

რა არის ეს — ადგილობრივ უთაურთა კანცელარული გარჯაში თუ არჩევნების ორგანიზაციის ფრედარევის შეგნებული ცდა? ამაში უნდა გარკვეულიყო არხანგელსკის საოლქო კომსკომი. მასაც უნდა სცოდნოდა, რომ შენკურსკის, როდინსკის და ხოლმოგორსკის რაიონებში ამომრჩეველთა სიები ქუჩაში გამოაკრეს და რომ ისინი პირველივე წვიმის შემდეგ ქაღალდის სველ ნაფლეთებად გადაიქცნენ, რომლებზედაც კაცი ვერაფერს გაარჩევს. რა არის ეს, თუ არა უდარდელობა და დანაშაულებრივი მოუფიქრებლობა?

უდარდელობა განსაკუთრებით შეუწყნარებელია ახლა და იმიტომ, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს მტრულ ელემენტთა ნაშთების შეაძლო გამოსვლები. ტროცკისტულ-ბუხარინულ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ხაძირალებს შეუძლიათ შეეცადონ, რათა ზიანი მოგვაყენონ საარჩევნო კამპანიაში. ასეთი სიგნალები უკვე არის, მაგალითად, სვერდლოვსკის ოლქიდან. სუხოლოჟსკის რაიონის სოფელ კულიკში აღმოჩნდა არამზადა, — საბჭოთა სასამართლოს მიერ საბოტაჟისათვის ერთ დროს მსჯავრდადებული, —სლეპუხინი, რომელმაც გარეკა საარჩევნო კანონის შემსწავლელი წრე. იქ, სადაც ბოლშევიკური სიფხიზლე არ არის, სადაც გამეფებულია უდარდელობა, — გაბოროტებული მტერი იწყებს მოქმედებას.

რა უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ?

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები საარჩევნო კანონის ყველა დაშვებული დამახინჯების სრულად და სასწრაფოდ გამოსწორებისათვის. უნდა დამთავრდეს სიების სისწორის შემოწმება, მოწვეულ უნდა იქნან ამომრჩევლები სიების გასაცნობად. **საჭიროა რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ამომრჩეველს ჰქონდეს ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღების საშუალება.**

ამასთან არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთხელ გასწორებული სია უკვე ზუსტი დარჩება თვით არჩევნების დღემდე. ასე ფიქრი იქნებოდა იმის არგაგება, რომ არჩევნები ზაფხულში ხდება, როდესაც განსაკუთრებით ძლიერდება მოსახლეობის გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მოსკოვში ჩვეულებრივ 200.000-ზე მეტი მცხოვრები საგაზაფხულო შვებულებით ტოვებს ქალაქს მიდის ზაფხულის თვეებში. ეს გარემოება არა გვჭონია ზამთარში, 1937 წლის დეკემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს. მეორე მაგალითი. ზამთარში საარჩევნო უბნები მხოლოდ საზღვაო და საკავშირო გემებზე იქმნებოდა, ივნისი კი გაბურებული ზამთრისა ნავიგაციის თვეს წარმოადგენს, და ათასობით მოქალაქე შეხვდება 26 ივნისს მრავალ მდინარეზე ნაოსნობაში. ბოლოს, ასეთ ათასობით შვებულებაში მყოფნი, ჯურორტებზე მყოფნი, ტურისტები, ექსკურსანტები, — ხომ არ შეიძლება არ მივიღოთ ისინი სათვალავში.

საქალაქო, რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა, საარჩევნო კომისიებმა დროზე უნდა აღნიშნონ ამომრჩეველთა მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, დროზე უნდა ჩაბარონ წამსვლელთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“. სიების დაზუსტება საჭიროა ყოველთვის, როგორც კი ამას საჭიროება მოითხოვს. **არჩევნების წინა დღესაც კი თვით არჩევნების დღესაც კი რომ აღმოაჩინოს ამომრჩეველმა შეცდომა სიაში, ეს შეცდომაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.** არ შეიძლება და არც უნდა დარჩეს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც რაიმე მიზეზით ვერ შესძლებს მონაწილეობის მიღებას ხმის მიცემაში. ასეთია საბჭოთა საარჩევნო კანონის აზრი, ასეთია სოციალისტური საარჩევნო სისტემის დედაარსი!

არჩევნების დღე შორს არ არის. კანონის თანახმად, თვითეული საუბნო საარჩევნო კომისია არჩევნებამდე უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში ყოველდღე აქვეყნებს ანრაიმე სხვა საშუალებით ფართოდ აუწყებს ამომრჩევლებს არჩევნების დღესა და არჩევნების ადგილს. **უოველდღე!** არ შეიძლება ვიჭონიოთ იმის იმედი, რომ ყველა ამომრჩეველმა ყველაფერი თვითონ იცის. ძუდამ უნდა მოვაგონოთ მათ, თუ რა დღეს და სად მოხდება არჩევნები!

უკვე დროა, რომ თვითეულმა საუბნო საარჩევნო კომისიამ გულდასმით შეამოწმოს, წესრიგშია თუ არა საარჩევნო დოკუმენტები—ბიულეტენები, კონვერტები, მოიფიქროს, თუ როგორ იქნება მოწყობილი კომისიის მუშაობა არჩევნების დღეს, წინასწარ ეზრუნოს ამომრჩეველთათვის მაქსიმალური ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. ეს „ტექნიკური წვრილმანი“ კი არ არის, არამედ დიდად პასუხსაგები საქმეა. თვითეულმა საუბნო კომისიამ ახლავე, და არა არჩევნების დღეს, უნდა გამოარკვიოს საარჩევნო უბნების ნავიგაციის თვეს წარმოადგენს, და ათასობით მოქალაქე შეხვდება 26 ივნისს მრავალ მდინარეზე ნაოსნობაში. ბოლოს, ასეთ ათასობით შვებულებაში მყოფნი, კურორტებზე მყოფნი, ტურისტები, ექსკურსანტები, — ხომ არ შეიძლება არ მივიღოთ ისინი სათვალავში.

საქალაქო, რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა, საარჩევნო კომისიებმა დროზე უნდა აღნიშნონ ამომრჩეველთა მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, დროზე უნდა ჩააბარონ წამსვლელთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“. სიების დაზუსტება საჭიროა ყოველთვის, როგორც კი ამას საჭიროება მოითხოვს. **არჩევნების წინა დღესაც კი თვით არჩევნების დღესაც კი რომ აღმოაჩინოს ამომრჩეველმა შეცდომა სიაში, ეს შეცდომაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.** არ შეიძლება და არც უნდა დარჩეს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც რაიმე მიზეზით ვერ შესძლებს მონაწილეობის მიღებას ხმის მიცემაში. ასეთია საბჭოთა საარჩევნო კანონის აზრი, ასეთია სოციალისტური საარჩევნო სისტემის დედაარსი!

არჩევნების დღე შორს არ არის. კანონის თანახმად, თვითეული საუბნო საარჩევნო კომისია არჩევნებამდე უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში ყოველდღე აქვეყნებს ანრაიმე სხვა საშუალებით ფართოდ აუწყებს ამომრჩევლებს არჩევნების დღესა და არჩევნების ადგილს. **უოველდღე!** არ შეიძლება ვიჭონიოთ იმის იმედი, რომ ყველა ამომრჩეველმა ყველაფერი თვითონ იცის. ძუდამ უნდა მოვაგონოთ მათ, თუ რა დღეს და სად მოხდება არჩევნები!

უკვე დროა, რომ თვითეულმა საუბნო საარჩევნო კომისიამ გულდასმით შეამოწმოს, წესრიგშია თუ არა საარჩევნო დოკუმენტები—ბიულეტენები, კონვერტები, მოიფიქროს, თუ როგორ იქნება მოწყობილი კომისიის მუშაობა არჩევნების დღეს, წინასწარ ეზრუნოს ამომრჩეველთათვის მაქსიმალური ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. ეს „ტექნიკური წვრილმანი“ კი არ არის, არამედ დიდად პასუხსაგები საქმეა. თვითეულმა საუბნო კომისიამ ახლავე, და არა არჩევნების დღეს, უნდა გამოარკვიოს საარჩევნო უბნების ნავიგაციის თვეს წარმოადგენს, და ათასობით მოქალაქე შეხვდება 26 ივნისს მრავალ მდინარეზე ნაოსნობაში. ბოლოს, ასეთ ათასობით შვებულებაში მყოფნი, კურორტებზე მყოფნი, ტურისტები, ექსკურსანტები, — ხომ არ შეიძლება არ მივიღოთ ისინი სათვალავში.

საქალაქო, რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა, საარჩევნო კომისიებმა დროზე უნდა აღნიშნონ ამომრჩეველთა მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, დროზე უნდა ჩააბარონ წამსვლელთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“. სიების დაზუსტება საჭიროა ყოველთვის, როგორც კი ამას საჭიროება მოითხოვს. **არჩევნების წინა დღესაც კი თვით არჩევნების დღესაც კი რომ აღმოაჩინოს ამომრჩეველმა შეცდომა სიაში, ეს შეცდომაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.** არ შეიძლება და არც უნდა დარჩეს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც რაიმე მიზეზით ვერ შესძლებს მონაწილეობის მიღებას ხმის მიცემაში. ასეთია საბჭოთა საარჩევნო კანონის აზრი, ასეთია სოციალისტური საარჩევნო სისტემის დედაარსი!

არჩევნების დღე შორს არ არის. კანონის თანახმად, თვითეული საუბნო საარჩევნო კომისია არჩევნებამდე უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში ყოველდღე აქვეყნებს ან

კომკავშირელთა რეკორდები

თბილისის რადიო-ტელეგრაფის არტაშ მარტიროსოვმა მაისის საწარმოო გეგმა 200,4 პროცენტით შეასრულა.

ახალგაზრდა ხარატმა ზაუტაშვილმა მაისის დავალება 311 პროცენტით შეასრულა.

კომკავშირელი აგიტატორი ალექსანდრე დონიშკიანი, რომელიც ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო ამწყობია მაისში მუშაობდა საწერა სატელეგრაფო აპარატურის აწყობაზე და საწარმოო დავალებას ასრულებდა 165,9 პროცენტით.

კომკავშირის ერთ-ერთმა საუკეთესო პროპაგანდისტმა ზეინკალმა კოლექტივის საერთო კრება, რომელმაც საწარმოო ენტუზიაზმის ახალი აზვირთების ნაშუნით ჩაიარა. ასეთმა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა, მიღწეულმა საქართველოს დიადი დღესასწაულისათვის, ქარხნის კოლექტივი დიდად აღაფრთოვანა. კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულება განამტკიცოს მიღწეული შედეგები და გააძლიეროს ბრძოლა უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის. ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ვალდებულება თვის დამლევამდე გამოუშვან დამატებით 350 ათასი მანეთის პროდუქცია, დაამზადონ ნავთის 2500 კასრი, გეგმით გათვალისწინებული 2200-ის ნაცვლად, და 30 ცისტერნი, გეგმით გათვალისწინებულ 19-ის ნაცვლად, უზრუნველჰყოს მუშის დღიური გამომუშავება ნახევარ წელში არანაკლებ 115 პროცენტისა და მთელი პროდუქციის თვითღირებულების შემცირება არანაკლებ 10 პროცენტისა.

ასეთი გამარჯვებით ხვდება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს კოლექტივის საუკეთესო წევრი, ქარხნის ბრიგადის ორგანიზატორი ნიკო ჯაფარიძე.

ლითონების კონსტრუქციის ქარხანა

საქართველ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ამხ. დიმიტრი პეტრეს-ძე გაბარაევი

დიმიტრი პეტრეს-ძე გაბარაევი დაიბადა 1904 წელს, გორის ყოფილი მაზრის სოფ. ქვათეთრში, გლეხის ოჯახში. მძიმე შრომაში გაატარა ბავშვობა და სიჭაბუკე ამხ. გაბარაევმა. იგი 14 წლის ბავშვი იყო, როცა მწყემსობა დაიწყო.

ამხ. გაბარაევი აღზარდა მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში სამსახურმა. წითელი არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1928-30 წლებში იგი რკინიგზის მცველ რაზმში მსახურობდა.

როგორც კარგი მუშაკი, ამხ. გაბარაევი 1930 წელს სასწავლად მიავლინეს ქუთაისის პარტიულ სკოლაში. პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ნიჟნი-ნოვგოროდის საფაბრიკო-სამრეწველო სკოლაში.

1933 წელს ამხ. გაბარაევი შევიდა სოფ. ქვათეთრის კოლმეურნეობაში. 1934-36 წლების განმავლობაში იგი მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1936 წელს ამხ. გაბარაევი მივლინებულ იქნა სასწავლად საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო - სამეურნეო სკოლაში. სკოლის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით იგი კვლავ დაბრუნდა სამუშაოდ ქვათეთრის კოლმეურნეობაში.

1938 წლის დამდეგს ამხ. გაბარაევი დაწინაურებულ იქნა ზნაურის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამხ. გაბარაევი კომკავშირის წევრია 1925 წლიდან, პარტიის წევრია 1928 წლიდან.

დიმიტრი პეტრეს-ძე გაბარაევი ენერგიული მუშაკია, ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობას შორის.

ამხ. გაბარაევის კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზნაურის №. 235 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ. (საქდესი).

ამხ. მამედ ემინის-ძე ფაღავა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული ამხ. ფაღავა დაიბადა 1907 წელს ბათუმის რაიონის სოფელ კორონის-თავში, საშუალო გლეხის ოჯახში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წელს ამხ. ფაღავა შევიდა სოფლის 4-წლიან სკოლაში, რომელიც 1924 წელს დაამთავრა.

1925 წელს ამხ. ფაღავა შევიდა კომკავშირის რიგებში და შემდეგ წელს გაწვეულ იქნა სასწავლად ბათუმის საბჭოთა-პარტიულ სკოლაში.

საბჭოთა-პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ 1928 წელს ამხ. ფაღავა შევიდა რკინიგზაზე გასამხედროებული დაცვის მსროლელად, სადაც მუშაობდა 1930 წლამდე.

შემდეგ ამხ. ფაღავა გადადის სამუშაოდ ბათუმის ნავთსახდელ ქარხნებში საქვაბე ბატარეის მეცივლურად.

წარმოების ენტუზიასტმა ამხ. ფაღავამ 7 წლის განმავლობაში კარგად ითვისა ნავთის გადამუშავების საქმის ტექნიკა და ამჟამად მუშაობს დანადგარის ვამგის პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1936 წელს, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით, ამხ. ფაღავა დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1937 წელს იგი მიღებულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) წევრად.

ამხ. მ. ე. ფაღავა გატარებულია რეგისტრაციაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის — სტალინის № 218 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ქონა იასონის-ასული კილაძე

ქონა იასონის-ასული კილაძე დაიბადა 1913 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში, გლეხის ოჯახში.

1930 წელს იგი მშობლებთან ერთად შევიდა კოლმეურნეობაში. ქონა კილაძე ჩაის პლანტაციების ერთერთი საუკეთესო სტახანოველია. სამაგალითო მუშაობისათვის იგი არაერთხელ დაუჯილდოვებიათ ძვირფასი საჩუქრებით.

წარჩინებულ კოლმეურნე-სტახანოველს ქონა კილაძეს მარტო მამათის კოლმეურნეობის კოლმეურნენი როდი იცნობენ და უყვართ, მისი სახელი ცნობილია რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

1936 წელს ქონა კილაძემ 450 შრომადღე ვამოიმუშავა, 1937 წელს კი — 521 შრომადღე. როგორც ჩაის ფოთლის საუკეთესო მკრეფელი, იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის.

ამხ. კილაძე კომკავშირის წევრია 1936 წლიდან როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, კოლმეურნე-სტახანოველი, იგი არჩეულ იყო საბჭოების სრულიად-საქართველოს მე-8 საგანგებო ყრილობის დელეგატად.

ქონა კილაძე გატარებულია რეგისტრაციაში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ალანის № 165 საარჩევნო ოლქში. (საქდესი).

ამხ. მეჰრალი ჰას'ანოვი

მეჰრალი ჰასანოვი დაიბადა 1905 წელს ლუქსემბურგის რაიონის სოფ. ფახტალუში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1927 წლიდან 1931 წლამდე იგი ტრაქტორისტად მუშაობდა ფახტალუს გლეხკომში, 1931 წელს იგი ფახტალუს სოფლსაბჭოს თავმჯდომარეა.

1933 წლიდან 1936 წლამდე მეჰრალი ჰასანოვი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად მუშაობდა, ხოლო 1936 წელს არჩეულ იქნა კოლმეურნეობა „ენი-ელის“ გამგეობის თავმჯდომარედ სოფ. ფახტალუში, სადაც დღემდე განაგრძობს მუშაობას.

ამხ. მეჰრალი ჰასანოვმა მთელი თავისი მუშაობის განმავლობაში თავი გამოიჩინა როგორც დისციპლინირებულმა, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულმა მუშაკმა. იგი როგორც რაიონის ერთერთი უდიდესი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კარგად უძღვება საქმეს.

ამხ. ჰასანოვი საკ. კ. პ. (ბ) წევრია 1931 წლიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ამირა-ჰასანის № 77 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ჰასანოვი.

ამხ. შოთა გიორგის-ძე ხუმარაძე

შოთა გიორგის-ძე ხუმარაძე დაიბადა 1907 წელს ხაშურის რაიონის სოფელ არადეთში, გლეხის ოჯახში.

ამხ. ხუმარაძე, როცა ის 13 წლის იყო, მოუკვდა რა მამა, იძულებული გახდა შესდგომოდა მძიმე შრომას თავის მეურნეობაში.

1923 წლიდან 1924 წლამდე მუშაობდა მწყემსად სოფელ არადეთში. 1930 წელს შევიდა მიხა ცხაკაიას სახელობის არადეთის კოლმეურნეობაში. არის აქტიური კოლმეურნე, ექვსი წელია მუშაობს საკოლმეურნეო ბრიგადის ბრიგადირად. დაჯილდოებულია სანიმუშო მუშაობისათვის. კოლმეურნეთა შორის სარგებლობს სიყვარულითა და პატივისცემით.

1938 წელს ამხ. ხუმარაძე მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

გომის № 48 საოლქო საარჩევნო კომისიამ შოთა გიორგის-ძე ხუმარაძე გაატარა რეგისტრაციაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. (საქდესი).

ამხ. ალექსანდრა იოსების-ასული ნუცუბიძე

ამხ. ალექსანდრა დაიბადა 1890 წელს სოფ. ბანოჯაში ღარიბი გლეხის ოჯახში.

1930 წელს მთელი ოჯახით ალექსანდრა შედის კოლმეურნეობაში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და საკოლმეურნეო შრომამ მისცა მის ოჯახს შეძლებული და ბედნიერი ცხოვრება.

ქუთაისის რაიონი ამხ. ნუცუბიძეს იცნობს როგორც საუკეთესო კოლმეურნეს და მებაღეშუძეს. მან სამი კოლოფი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 200 კილოგრამი აბრეშუმის პირველხარისხოვანი პარკი, ის მრავალჯერ არის, დაჯილდოებული სხვადასხვა ჯილდოთი.

სოფ. ფარცხანაყანევის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრებამ მოიწონა ამხ. ნუცუბიძის კანდიდატურა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ამხ. მ. კრიჭიაშვილი თავის ამომრჩევლებთან

ყვარლის № 102 საარჩევნო ოლქის მეოთხე საარჩევნო უბნის ამომრჩევლები ტუტარეს — ლეონიდეს ბიბლიოთეკაში შეხვდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს მარიამ მათეს ასულ კრიჭიაშვილს. კრებას ოთხას სამოცდაათი ამომრჩეველი დაესწრო.

— ჩვენი უბნის ამომრჩევლები, — განაცხადა უბნის ნდობით აღფრთოვანებულმა პირმა ბეჟან კავილაძემ, — დღეს პირველად არ ხედავენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს. კრიჭიაშვილი ჩვენივე ოლქის სოფ. შილდის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მას ყველა იცნობს როგორც სოციალისტური მშენებლობის მოწინავე ადამიანს, გულხმიერ ამხანაგს და კარგ საზოგადოებრივ მუშაკს.

სიტყვით გამოვიდა კომკავშირის წევრი 17 წლის ახალგაზრდა, საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოწაფე სოფიო ინჯგია.

— გულნაკლული ვარ, — განაცხადა მან, — რომ არჩევნებში, მონაწილეობას ვერ ვღებულობ რადგან თვრამეტი წელი ჯერ არ შემსრულებია, მაგრამ ვხარობ და ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ სტალინური მზით გამთბარ ქვეყანაში ვცხოვრობ, სტალინურ ეპოქაში ვიზრდები და ვიფურჩქნები.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მანია მათიკაშვილმა და შოთა გაფრინდაშვილმა.

სიტყვას იღებს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. კრიჭიაშვილი.

— ბავშვობა სიდუხჭირესა და ტანჯვა - წამებაში ვაატარე. მშობლები ღარიბი და წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ, ახლა კი ჩემი მშობლები კოლმეურნეობის წევრებია და შეძლებულად ცხოვრობთ. გამომიცხადეთ რა ნდობა, სიტყვას გაძლევთ არ დავზოგავ ჩემს ძალღონეს, რომ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლო ლენინ-სტალინის პარტიის დიდი საქმისათვის, მშრომელთა საქმეთვის, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. კრიჭიაშვილი.

ამხ. ო. მდინარაძის შეხვედრა ამომრჩევლებთან

მეორე კლინიკის დარბაზი საზეიმოდაა მორთული.

აქ შეკრებილან გორკის ოლქის მესამე საარჩევნო უბნის 400-ზე მეტი ამომრჩეველი, ისინი დიდი ინტერესით ელოდებიან საქართველოს უმაღლეს საბჭოში მათის დეპუტატობის კანდიდატს ოლია ნიკოლოზის-ასულ მდინარაძეს.

დანიშნული დროა. დარბაზში იგრიალა ტაშმა. ტრიბუნისაკენ შეომართება ამხ. ოლია მდინარაძე.

— ამხანაგებო! ჩვენს კანდიდატთან შეხვედრის საზეიმო კრებას გახსნილად ვაცხადებ — სთქვა საუბნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მიზახინმა.

მან შესავალი სიტყვა მიუძღვნა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ ბლოკს.

— წინათ ჩამორჩენილი რუსეთის ტერიტორიაზე — ამბობს სტახანოველი ამხ. თვალაური — დღეს სოციალისტური სახელმწიფოს ინდუსტრიის გიგანტები, გუგუნებენ და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში გრიალებენ განვლილი ორი ხუთწლედის პირმშონი — ტრაქტორები და კომბაინები.

საბჭოთა კავშირი გახდა მტრებისათვის მიუწვდომელ ციხე-სიმაგრედ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, გვიყვარს დიდი სტალინი.

— ხალხს უყვარს თავისი ხელისუფლება, რადგანაც მას სათავეში უდგანან მათივე ღვიძლი შვილები. უმაღლეს ორგანოში ჩვენ ვირჩევთ ამხ. მდინარაძეს, წინათ დაჩაგრულმა გურული გლეხის ოჯახიდან გამოსულმა გოგონამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იგრძნო ნამდვილი ადამიანობა.

ოლია გაიზარდა საქართველოს ერთერთი წარმოების ხელმძღვანელამდე — დღეს იგი თბილისის მაუდის ფაბრიკის დირექტორია. ეჭვი არ არის, რომ ის ყოველთვის ერთგული იქნება ლენინ-სტალინის პარტიისა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. მდინარაძეს. დარბაზი ოვაციით შეხვდა ამ სასახელო კანდიდატს.

ამხანაგებო! მე ლენინ-სტალინის პარტიამ გამზარდა. მან მასწავლა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა. მასწავლა ბრძოლა ხალხის მტრებთან. მე ხალხის შვილი ვარ. ხალხის წრიდან გამოსული. ხალხი მირჩევს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ვიგონებ შავწარსულს და ვამბობ — განა შეიძლება სადმე იყოს ჩვენისთანა ბედნიერი ხალხი. არა, არ შეიძლება.

დიდი სტალინის განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით — ქალი სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე უდიდეს ძალათ გადაიქცა.

მე როგორც ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი, ხალხის ბედნიერებისათვის ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

არ ვიცი, როგორ გამოვთქვა მადლობა იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ. გაძლევთ ბოლშევიკურ სიტყვას, რომ ბოლომდე ერთგული ვიქნები ლენინ-სტალინის დიდი პარტიისა, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა.

ტერ. ნაროუშვილი

მუდამ მშრომელი ხალხის ერთგული ვიქნები

კარლ მარქსის სახელობის საარჩევნო ოლქის მეოთხე უბნის ათასზე მეტი ამომრჩეველი შეიკრიბა თბილისის პიონერების კულტურისა და დასვენების პარკში.

ისინი დღეს ხვდებიან საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გატარებულ თავის კანდიდატს ამხ. ალექსანდრე თომას-ძე კვაჭაძეს.

საღამოს 7 საათი შესრულდა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. აკაკი თევრაძემ კრება გახსნილად გამოაცხადა.

პირველი სიტყვა ეძლევა ნდობით აღფრთოვან პირს ამხ. ვასო უჩანეიშვილს.

მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ქ. მარქსის სახელობის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პ. სავიცკიმ. ტრიბუნაზე ადის თბილისის საბჭოს წევრი, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ჭაღარა დიასახლისი ამხ. მარო ლომიძე.

— არ არსებობს იმაზე დიდი ღირსება, — იწყებს იგი, — ვიდრე იყო ხალხის დეპუტატი. ამხ. კვაჭაძეს ჩვენ კარგად ვიცნობთ როგორც ლენინ-სტალინის პარტიის გულწრფელ წევრს, მტრებისადმი შეურიგებელ ბოლშევიკს, პატიოსან ადამიანს. ჩვენც, მეოთხე უბნის ამომრჩევლები, ერთსულოვნად მივცემთ ხმას ამხ. კვაჭაძეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

58 წლის დიასახლისი ამხ. მარიამ ტერ-სიმონიანი მოუთხრობს ამომრჩევლებს სისხლიან და საშინელ წარსულზე, როდესაც ამიერკავკასიის ხალხებში გაჩაღებული იყო ურთიერთშორის მტრობა. იგი მადლობას უძღვნის ლენინ-სტალინის პარტიას, დიდ სტალინს და სტალინის საუკეთესო მოწაფეს ამხ. ლ. ბერიას ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ძმური სოლიდარობის განმტკიცებისათვის. ამხ. ტერ-სიმონიანმა გადასცა თაიგული ამხ. კვაჭაძეს და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ მას.

სიტყვა აიღო დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. ა. კვაჭაძემ.

— მუდამ ხალხს, მუდამ პარტიის საქმესთან ვიყავი დაკავშირებული, — დაიწყო ამხ. კვაჭაძემ, — მე მუშის შვილს, მხოლოდ სტალინურმა ეპოქამ მომცა სწავლის, წინსვლისა და თავისუფალი მუშაობის ყველა საშუალება. ახლა საკუთარ თავს როდი ვეკუთვნი. მთელი ჩემი ძალღონე, ცოდნა და გამოცდილება კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასს, ყველა მშრომელს ეკუთვნის. თქვენ დამასახელეთ დეპუტატად. ხალხს ეს ნდობა ჩემთვის ყველაზე უძვირფასესია. სიტყვას გაძლევთ და გარწმუნებთ, რომ თქვენს ამ ნდობას პირნათლად გავამართლებ, მუდამ მჭიდრო კავშირში ვიქნები ხალხთან, მუდამ ვიზრუნებ ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი მზიური სამშობლოს შემდგომ აღორძინებისა და აყვავებისათვის. სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო ამომრჩევლებო, რომ კუბოს ფიცრამდე ვიქნები ლენინურ-სტალინური პარტიის ღირსეული წევრი.

ს. ხოჭოლიძე

ს. ლარცულიანი

ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბე

ბურჟუაზიული წყობის ჩასახვა და განვითარება ფეოდალური საზოგადოების პირობებში ხდება. ბურჟუაზია ფეოდალურ წყობილებაში უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ გაძლიერებას და გაბატონებას აღწევს, და განსაკუთრებით ამას შემდეგ ახორციელებს ის ბრძოლას პოლიტიკური გაბატონებისათვის. დროში, რომლითაც დაიწყო ბურჟუაზიამ პოლიტიკური ბრძოლა, იყო ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის განჭოციელებისათვის ბრძოლის დროში.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა ღრმა მეცნიერული სიზუსტით დაასაბუთეს, „რომ ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა მუშათა კლასის დათრგუნვისა ბურჟუაზიის მიერ, მშრომელთა მასის დათრგუნვისა ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ“ (ლენინი).

მთავარი მიზეზი კაპიტალიზმის დროს დემოკრატიის შეზღუდულობისა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ბურჟუაზია საწარმოო საშუალებათა და იარაღთა მესაკუთრეა, ის მოსახლეობის აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენს და თუ იგი მრავალმილიონიან მოსახლეობას (მუშათა კლასს, გლეხობას და მშრომელთა სხვა ფენებს) რეალურ დემოკრატიულ უფლებებს მიანიჭებდა, ამით დაიჩაგრებოდა პროლეტარული რევოლუციის მოხდენას და საკუთარი თავის მოსპობას. ცხადია, ბურჟუაზიას ამ გზით წასვლა არ შეეძლო.

ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც, ლენინის თქმით ისედაც შეკვეცილი, შეკრუჭილი დემოკრატიაა, სულ უფრო მეტად იკვეცება და თანდათან სრულ აღკვეთამდე მიდის. მაგალითად, ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთები კი მოსპობილია ფაშისტურ ქვეყნებში.

ევროპის 26 ბურჟუაზიული ქვეყნიდან, სადაც შენახულია ამხ. ლიტვინოვი საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე, ე. წ. დემოკრატიზმი და ბურჟუაზიული თავისუფლებანი შენარჩუნებულია 10 ქვეყანაში. დანარჩენ 16 ქვეყანაში, ე. ი. ბურჟუაზიული ევროპის ორ მესამედში, არის ფაშისტური ან ნახევრადფაშისტური რეჟიმი.

რა აიძულებს ბურჟუაზიას მოიხსნას დემოკრატიული ნიღაბი, რომლითაც იგი ახხორციელებს ბატონობას ექსპლოატირებულ მასებზე, და გადავიდეს ფაშისტურ რეჟიმზე? ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ სანამ კაპიტალის ბატონობას უშუალო რევოლუციური საშიშროება არ მოელის, მანამდე, ბურჟუაზია დემოკრატიულ რეჟიმს „ნაყოფიერად“ იყენებს, მაგრამ დადგება თუ არა ბურჟუაზია პროლეტარული რევოლუციის პირდაპირი საფრთხის წინაშე, იგი თავის „ხსნას“ ეძებს ფაშისტურ რეჟიმში, როგორც მუშათა კლასზე მსხვილი ბურჟუაზიის აშკარა ტერორისტულ დიქტატურაში.

როგორია ბურჟუაზიული დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციის შინაარსი? ეს კონსტიტუციები ხმამაღლა აცხადებენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მაგრამ ზღუდავენ მას ქონებრივი ცენზით, რითაც მოსახლეობის დაბალ ფენებს, ღარიბებს ერთმევათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დემოკრატიული ქვეყნების ინგლისისა და ამერიკის კონსტიტუციები არ აძლევენ არჩევნების უფლებას ქონონიათა მოსახლეობის თითქმის 90 პროცენტს.

ბურჟუაზიული დემოკრატიის მოტრფიალენი, მეორე ინტერნაციონალის ბელადები — ბერნშტეინი, კაუცკი, გილფერდინგი და სხვები ბევრს ქადაგებდნენ, რომ პარლამენტში ბევრ სოციალისტებს ავირჩევთ და ამით მივაღწევთ ჩვენს მიზნებსო, მაგრამ ცხოვრებამ საწინააღმდეგო დაამტკიცა.

ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში ჩაწერილია თანასწორი საარჩევნო უფლება. ნამდვილად კი მოსახლეობის ისეთი დიდი ნაწილი, როგორიცაა ღარიბები, ჯარისკაცები, ქალები. სრულებით მოკლებული არიან ამ უფლებას. ბურჟუაზიის ბევრ წარმომადგენელს კი 2 და მეტი საარჩევნო ხმა აქვს.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები აღიარებენ აგიტაციის უფლებას არჩევნებში, მაგრამ აგიტაციის ყველა მატერიალური საშუალებანი ბურჟუაზიის ხელშია და კიდეც ახორხებს ის ამ საშუალებებით ფართო აგიტაციის გაშლას თავის კანდიდატების სასარგებლოდ. მაგალითად, მარტო 1936 წლის არჩევნებში ბურჟუაზიულმა პარტიებმა, ოფიციალური ცნობებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში აგიტაციისათვის დახარჯეს 13 მილიონი დოლარი.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები აცხადებენ სიტყვის, კრების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ „არ ხოსებობს და არც შეიძლება არსებობდნენ კაპიტალიზმის დროს ნამდვილი „თავისუფლებანი“ ექსპლოატირებულთათვის, თუნდაც იმიტომ, რომ შენობები, ტამბები, ქაღალდის საწყობები და სხვ., რაც აუცილებელია „თავისუფლებათა“ გამოსაყენებლად, ექსპლოატატორთა პრივილეგიას შეადგენს“ (ლენინი). ბურჟუაზიულ ქვეყნებში სიტყვის, კრების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ილუზიონი სიტყვაა, რადგან შექმნილი არ არის პირობები მათი განხორციელებისათვის.

ბურჟუაზიას ეშინია დემოკრატიული უფლებები მიანიჭოს ქალებს, რადგანაც ეს გამოიწვევდა ახალი მილიონების ჩაბმას პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისედაც მწვავე კლასობრივ ბრძოლას კიდევ უფრო გააძაფრებდა და ხელს შეუწყობდა პროლეტარული რევოლუციის სამზრთხის ზრდას და მოხდენას.

ბურჟუაზიას ეშინია დემოკრატიული უფლებები მიანიჭოს ჯარისკაცებს, რადგანაც ეს გამოიწვევდა ჯარისკაცების პოლიტიკურ გამოფხიზლებას და მათი გაგზავნა ადამიანთა სასაკლაოზე ისე შედარებით ადვილად აღარ ხოხერხდებოდა, როგორც ამჟამად იაპონელი ჯარისკაცები იგზავნებიან ჩინელების წინააღმდეგ და იტალიისა და გერმანიის ჯარისკაცები რესპუბლიკური ესპანეთის ხალხის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიას ეშინია დემოკრატიული უფლებები მიანიჭოს კოლონიალურ ხალხებს, რადგანაც მძიმე ექსპლოატაციის ქვეშ მყოფი მრავალმილიონიანი ხალხები პოლიტიკურად გათვითცნობიერდებოდნენ და მთელი რისხვით დაატყდებოდნენ კაპიტალიზმს. ინგლისის კოლონიის ინდოეთის მოსახლეობის 90 პროცენტი მოკლებულია საარჩევნო უფლებას, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ნეგრების 85 პროცენტი მოკლებულია საარჩევნო უფლებას, საფრანგეთის კოლონიებში მცხოვრები 60-მილიონიანი მოსახლეობა სრულიად მოკლებულია საარჩევნო უფლებას.

ბურჟუაზიულ კონსტიტუციებს საუკეთესოდ ახასიათებს ამხანაგი სტალინი. „ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებულნი არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი — ექსპლოატირებულთ“ (სტალინი).

ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები ააშკარავებენ ბურჟუაზიული დემოკრატიის სრულ სიყალბეს და წარმოგვიდგენენ მას მთელი თავისი გაშიშვლებული სახით. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები — მარქსი, ენგელსი, ლენინი კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა ანალიზის შედეგად ასკვნიდნენ, რომ კერძო საკუთრებაზე და მისგან გამომდინარე ექსპლოატაციაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში დემოკრატია არ შეიძლება იყოს ნამდვილი. თანამიმდევარი ხასიათის, არამედ ის თავიდანვე სიყალბეს შეიცავდა და უკანასკნელი 20 წლის მანძილზე თითქმის სრულიად გაყალბდა. ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბეს ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებდა და მომავალშიც კიდევ უფრო მეტად დაამტკიცებს.

თანმიმდევარი სოციალისტური დემოკრატია მხოლოდ მუშათა კლასმა შექმნა. მუშათა კლასი არის ერთადერთი ნამდვილი რევოლუციური კლასი, რომელიც სოციალისტური რევოლუციის მოხდენით იწყებს საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნას. ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

ლენინი ითვალისწინებს მუშათა კლასის ძალას და შესაძლებლობებს და გვასწავლის, რომ „მოქალაქეთა ამ თანასწორობას, დამოუკიდებლად სქესისა, რელიგიისა, ეროვნებისა, რომელსაც ბურჟუაზიული დემოკრატია ყოველთვის და ყველგან ჰპირდებოდა, მაგრამ არასოდეს არ გაუტარებია და კაპიტალიზმის ბატონობის გამო არც შეეძლო გაეტარებინა, საბჭოთა ხელისუფლება ანუ პროლეტარიატის დიქტატურა ერთბაშად და მთლიანად ახხორციელებს, ვინაიდან ამის განხორციელება შეუძლია მხოლოდ იმ მუშების ხელისუფლებას, რომლებიც დაინტერესებული არ არიან კერძო საკუთრების საწარმოო საშუალებებით და მათი განწილებისა და გადანაწილებისათვის ბრძოლით“ (ლენინი).

საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების არ არსებობამ და ამის გამო ექსპლოატაციის შეუძლებლობამ გამოიწვია ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთბაშად ახხორციელებს წინათ ისტორიაში შეუძლებელ და არნახულ ფართო დემოკრატიულ უფლებებს. ისტორიაში პირველად მყარდება დემოკრატია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის აბსოლუტური უმცირესობის წინააღმდეგ.

ჩვენს ქვეყანაში 1924 წელს მიღებული კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქეთა უფლებრივი შეზღუდვანი შესცვალა ახალმა სტალინურმა კონსტიტუციამ და ამით საბჭოთა სოციალისტურმა დემოკრატიამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილი არცერთი უფლება არ არის ფორმალური. წინააღმდეგ ყველა ბურჟუაზიული კონსტიტუციებისა, ჩვენი კონსტიტუციის „თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო გარმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდეც უზრუნველყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალური საშუალებით“.

შემდეგ ამხანაგი სტალინი დაასკვნის, რომ ჩვენი კონსტიტუციის „დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ სოციალისტურ დემოკრატიზმს“.

სოციალისტური დემოკრატიზმის ვეშაპარიტი ბუნება ჩვენი ქვეყნის მოავალმილიონიან მშრომელ მასებს საკუთარ ცხოვრებაში აქვთ შემოწმებული. საბჭოთა ხალხი სტალინური კონსტიტუციის მზით არის გამთბარი. დემოკრატიზმის განვითარების ისტორიას არ ახსოვს ისეთი საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 1937 წლის 12 დეკემბერი.

1937 წლის 12 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის დიდი პარტიისადმი.

საქართველოს მშრომელი მასები აღტაცებით ემზადებიან დიადი ისტორიული თარიღისათვის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის — 1938 წლის 12 ივნისისათვის. ქართველი ხალხი თავის პირველ კანდიდატად უმაღლეს საბჭოში ასახელებს იმას, ვინც მრავალერიან საბჭოთა ქვეყანაში დაამყარა ხალხთა ურყევი მეგობრობა და შეუქმნა მათ ბედნიერი და საამური ცხოვრება, იმას, ვინც მსოფლიოს მრავალ მილიონ მშრომელთა იმედს წარმოადგენს, იგი ხმას აძლევს დიდ სტალინს.

ქართველი ხალხი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე პირველად ირჩევს თავის უმაღლეს საბჭოს და უდიდეს სიხარულს ვანიცდის, რომ მას დიდმა სტალინმა მისცა თანხმობა კენჭი იყაროს

ანტიფაშისტური ფრონტის ერთიანობისათვის

ამხანაგების კაშენისა და დიუკლოს გამოსვლა

პარიზი, 9 ივნისი (საკდესი). გუშინ საზამთრო ველოდრომზე შესდგა კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილი მიტინგი, რომელსაც დაახლოებით 30 ათასი კაცი დაესწრო.

მიტინგი გახსნა სენატორმა კომუნისტმა მარსელ კაშენმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ გაიზარდა საფრთხე, რომელიც საერთაშორისო მშვიდობიანობას ემუქრება ფაშიზმის მხრივ. ანტიფაშისტური ფრონტის ერთიანობამ, — მოაგონა კაშენმა მიტინგს, — გზა გადაუღობა ფაშიზმის შეტევას საფრანგეთში და მხოლოდ პროფკავშირული ერთიანობის მეოხებით განხორციელდა მუშათა კლასის მთელი რიგი მოთხოვნები. მაგრამ საფრანგეთის შინაური და გარეშე მტრები ყოველივეს აკეთებენ იმისათვის, რომ გასთიშონ სახალხო ფრონტი და შრომის საყოველთაო კონფედერაცია. ამ შეტევას უნდა დაუპირისპირდეს მუშათა კლასის ორგანიული ერთიანობა საერთაშორისო მასშტაბით.

შემდეგ კაშენმა ილაპარაკა იმ გმირულ ბრძოლაზე, რომელსაც აწარმოებენ ჩინელი და ესპანელი ხალხები ფაშიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ საფრთხეზე, რომელიც ემუქრება ჩეხოსლოვაკიას გერმანიის ფაშიზმის მხრივ. როცა ორატორმა ახსენა სსრ კავშირი, როგორც მშვიდობიანობის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, მრავალათასიანი აუდიტორია მიესალმა საბჭოების ქვეყანას შეძახილებით— „გაუმარჯოს სსრ კავშირს"!

სხვა ორატორთა შორის გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, რომელმაც თავის ბრწყინვალე სიტყვაში პროტესტი განაცხადა ესპანეთის დაუცველი ქალაქების ბომბარდირების წინააღმდეგ, აგრეთვე საფრანგეთის ტერიტორიაზე ფაშისტთა ავიაციის პროვოკაციული თავდასხმების წინააღმდეგ. „პოლიტიკურ ზემოქმედებას საფრანგეთზე, — თქვა დიუკლომ, — ფაშიზმმა ახლა დაურთო აშკარა ძალადობა. ფრანგი ხალხი არ დაუშვებს ამ შანტაჟს, ხალხმა უნდა მოითხოვოს რესპუბლიკურ ესპანეთთან ვაჭრობის თავისუფლება".

მიღებული რეზოლუცია ერთხელ კიდევ ამხელს „ჩაურევლობის" დანაშაულებრივ პოლიტიკას.

მიტინგმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს მოთხოვნას სრულიად - საფრანგეთის სახალხო ფრონტის კომიტეტთა ყრილობის მოწვევის შესახებ.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის რეზოლუცია.



ფუნიკულორის ზედა სადგური. ფოტო რ. აკოფოვისა

ესპანეთის მთავრობის ნოტა ჩეხოსლოვაკიისადმი

პარიზი, 9 ივნისი (საკდესი). ესპანეთის ელჩმა პარიზში ხიმენეს ასუმ საგარეო საქმეთა მინისტრს კროფტას გადასცა ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის ნოტა იმის გამო, რომ ჩეხოსლოვაკიამ და გენერალ ფრანკოს „მთავრობამ" ერთმანეთთან დანიშნეს „გენერალური აგენტები".

ნოტაში გამოთქმულია ესპანელი ხალხის პროტესტი ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამავე დროს ნოტაში გამოთქმულია მხურვალე სიმპათიები ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი, თავდასხმის უშუალო საფრთხეს რომ განიცდის ფაშისტური გერმანიის მხრივ, რომელიც ფაშისტურ ინტერვენციას ანხორციელებს ესპანეთში.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

როგორც ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო იტყობინება, აღმოსავლეთ ფრონტზე უკანასკნელი დღეღამის განმავლობაში მხოლოდ თოფისა და საარტილერიო სროლა სწარმოებს.

ცენტრალური ფრონტი

ცენტრალური ფრონტის ესტრემადურის უბანზე, პუენტე დელ არსობისპოს სექტორში, რესპუბლიკელთა ჯარის ნაწილებმა გაათმაგეს თავისი მოწინავე ხაზების მდგომარეობა, დაიკავეს რა „300" და „320" მაღლობები, აგრეთვე ლაოიას და ბაუტისტას მთების მიდამოები. მეამბოხეთა კონტრიერიშები „322" მაღლობის წინააღმდეგ, ძალიან გაძლიერდა. მეამბოხეთა კონტრიერიშები „322" მაღლობის წინააღმდეგ, ძალიან-გაძლიერდა აღმოსავლეთით, სავსებით მოგერიებულ იქნა რესპუბლიკელების მიერ.

სამხრეთ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

12 ივნისს გაიხსნება ფუნიკულორი

12 ივნისს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს და საქართველოს მშრომელთა საყოველთაო სახალხო ზეიმს თბილისის მშრომელები მორიგი ახალი გამარჯვებით აღნიშნავენ. ამ დღეს თბილისში გაიხსნება კულტურისა და დასვენების ახალი პარკი, კულტურული დასვენებისა და გართობის ერთერთი საუკეთესო კუთხე მთელ ქალაქში.

ფუნიკულორის პლატოზე, იქ, სადაც ძველად არღნის ხმა და ღვინის მხუთარი სწამლავდა ჰაერს, სადაც ხროიკი იყო და ჩრდილი არ მოიძებნებოდა,—ახლა მშვენიერი პარკი, ყვავილნარები და ხეივნებია გაშენებული. ამჟამად პარკის მშენებლობა უკვე დამთავრებულია და 12 ივნისიდან თბილისის მშრომელებს საშუალება ექნებათ ავიდნენ იქ, თვალი გადაავლონ დედაქალაქს, დასტკბენ პეიზაჟის მშვენიერებით,

★

გამოსასვლელ დღეს თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო ტ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

საბჭოთა მუსიკოსების—გილელსისა და ფლიერის განსაკუთრებული წარმატება

პარიზი, 9 ივნისი (საკდესი). გუშინ ბრიუსელში ვაიმართა იმ ლაურეატთა კონცერტი, რომლებმაც პიანისტთა იზაის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე სამი პირველი პრემია მიიღეს. კონცერტი აღინიშნა საბჭოთა მუსიკოსების — გილელსისა და ფლიერის განსაკუთრებული წარმატებით. მსწრაფლებმა მჭიხარე ოვაცია გაუმართეს საბჭოთა ახალგაზრდა პიანისტებს, რომლებიც დიდი აღფრთოვანებით უკრავდნენ. ფლიერი ასრულებდა რახმანინოვის კონცერტს, გილელსი — ჩაიკოვსკის კონცერტს და კონცერტის მესამე მონაწილე ინგლისელი პიანისტი ქალი ჯონსტონი — ლისტის კონცერტს. ჯონსტონი, რომელმაც დიდი ოსტატობა გამოიჩინა, ავრეთვე კარგად მიიღო საზოგადოებამ. კონცერტი მიმდინარეობდა ხელოვნების სასახლის უდიდეს დარბაზში. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

ახალი წიგნები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა გამოსცა აკად. ნ. მარის შრომები აფხაზური ენის შესახებ—„აფხაზეთის ენა და ისტორია". წიგნი შეიცავს 28 სასტამბო ფორმას და ღირს 22 მანეთი და 50 კაპ. იმავე ინსტიტუტმა გამოსცა ახალგაზრდა მეცნიერის, მეცნიერებათა კანდიდატის ი. შ. მეგრელიძის საყურადღებო ნაშრომი „მეგრულ-ჭანურის ფენა გურულში". წიგნი შეიცავს 15 სასტამბო ფორმას და ღირს 15 მანეთი და 50 კაპ. იმავე ინსტიტუტმა გამოსცა ახალგაზრდა მეცნიერის, მეცნიერებათა კანდიდატის ი. შ. მეგრელიძის საყურადღებო ნაშრომი „მეგრულ-ჭანურის ფენა გურულში". წიგნი შეიცავს 15 სასტამბო ფორმას და ღირს 22